

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
მკაცრე ცხოვარი ჩემი წაწყმედლული. მსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
მავედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენ და მე განვისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 7—8


1883—1902

1—30 აპრილი



აღდგომისა დღე არს განბრუნებოდეთ დღესასწაულსა ამას, და ურთიერთარს შევიტებოთ, და ვსრქვათ მშათა ჩვენთა; მოძულეთაცა ჩვენთა შეუნდოთ ვოველი აღდგომასა, დაესრედ ღვთივ-ბრწინვალედ დაღად-ვგოთ: ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, და სივედილითა სიკვდილი დაჰსსთრგუნა, და მეოფეთა საფლავისათა ცხოვრება მიჰმადლა.

აღდგომასა შენსა ქრისტე მაცხოვარ, ანკელოსნი უგალობენ ცათა შინა და ჩვენცა ქვეყანასა ზედა ღირს-გუგენ, წმიდით გულით დიდება შენდა.







**ოხანან ძმან ღვთისმოსავს, კურთხეულ არს მთავარი სხელითა უფლისათა.**

აი, ასე უგალობდა ებრაელების აუარებელი ხალხი, რომელთაც მისდევდა იესო ქრისტეს იერუსალიმში შესვლის დროს უკანასკნელად ხუთი დღის წინ ჯვარცმისა და საშინელის ენებისა. ხალხი დამტკბარი მისი ღვთაებრივის ქადაგებითა, სასწაულებითა და მოწაყლებითი საქმეებით აღტაცებული იყო და, როცა ასე დიდებულად გაემგზავრა იერუსალიმისაკენ, ამ ხალხმა კიდევ მოინდომა იესო ქრისტეს გამოცხადება თავის მფველ, მაგრამ იესო ქრისტე მიეფარა მათგან. რამდენად ხალხი აღტაცებულში მოდიოდა იესო ქრისტეს ქადაგებით და სასწაულებით, რამდენად მტკი ალიარებდა მის ღვთაებას, იმდენად განკრისნებულად ებრაელების მღვდელთ მთავრები, მწიგნობრები და ფარისევლები. რა აწუხებდა მათ და რის ეშინოდათ? ებრაელების მღვდელ-მთავრები, მწიგნობრები და ფარისევლები იყვნენ ბრმად კანონის აღმსრულებელნი. მათ ტანისამოსის კალთებზე ჰქონდა მოქარგული ათი მცნება, ხალხის შესახედავად გზა-ჯვარედინებზე დადგებოდნენ და ლოცვილობდნენ; ყოველ შესაკრეველ ადიკონებში უყვარდათ წინ ჯდომა და უფროსობა, მაგრამ ზნეობრივად იყვნენ აღკვეთილნი და გაფუჭებულნი; როცა შეხედეს მათ, რომ ხალხი სულ იესო ქრისტეს შეუღდვა და მათზედ გული გაიგრილა, მათ პატივი აეხადათ, ყოველივე ვერაგობა, ყოველივე ღონე იხმარეს, რომ იესოსთვის ცილი დაეწამებიათ და სიკვდილით დაესაჯათ. ამას გარდა, მღვდელ-მთავარს ანანს ამხილვდა იესო ქრისტე ფულის ხარობისათვის. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ამ მღვდელ-მთავარს ოთხი დიდი სავაჭრო ღუქანი ჰქონდა მღვანის მთის სიხლოვეს, სადაც ჰყიდდნენ განწმედილ ნივთებს და სადაც, მაგალითად, ერთი მტრადი იყიდებოდა ერთ ოქროს ფულად! სავაჭლისხმომა აგრეთვე, რომ ამისთანა სავაჭრო ფარდულეები იერუსალიმის ტაძართანაც იყო და დიდ შემოსავალს

ვალს აძლევდა ანნა მღვდელ-მთავარს. ანნა მღვდელ-მთავარს არ ჰქონდა დავიწყებული, როცა იესო ქრისტემ გამოჰყარა ტაძრიდან ფულების დაზიარებადები და მტრედების და ცხოველების მოვაქრენი... ებრაელების მღვდელ-მთავრები მდიდრები იყვნენ, მოიყიდეს შრავალნი და ყოველივე ღონე იხმარეს, რომ იესოსთვის საფრხე ედგათ. მი აგზავნიდნენ კაცებს ქრისტესთან, რომ მათ როგორიმე გზით ლაპარაკში გამოეყოლებიათ იგი და ეთქმევინებიათ, რომ კეისრის ვადასახადი არ გადაეხადათ ებრაელებს. ამით სურდათ მათ ქრისტეს დაბეზღება ხელმწიფის მოლოატრობაში, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მთავრობა ფიცხლად მოეკიდებოდა მას. მაგრამ იესო ქრისტეს, რომელმაც კარგად იცოდა მათი ვერაგობა, ვერა მოუხერხეს რა. პირდაპირ დაქერა ვერ გაბედეს, რადგან ხალხის ეშინოდათ. ბოლოს მოიყიდეს ერთი მისი მოწაყე იუდა ისკარიოტელი, რომელმაც აღუთქვა მათ დამე მისი დაქერა. იესო ქრისტემ იცოდა, რომ მოახლოებულ იყო დრო მისი ნებასით ენებისა და ხუთშაბათს გარდაიხადა სერობა, რომელზედაც დააწესა წირვა და ამცნო მოწაყეებს, რომ ის გასცილულია ერთი მოწაყისაგან და მტკობის ხანში მას შეიძურობენ და ჯვარს აცენ. სერობის შესრულების შემდეგ, იესო გაემგზავრა მოწაყეებითურთ ვეთსამანიის ბაღისაკენ. ვეთსამანიის ბაღი იყო დიდი და ყველას შეეძლო შესულიყო ამ ბაღში. იესო ქრისტემ ამ ბაღში ხშირად დადიოდა. საგულისხმოა, რომ ეს ბაღი ეკუთვნოდა ერთს ვინამე იესო ქრისტეს პატივისცემელს და მიმდევარს. ამ ბაღის ერთ-ერთ ადგილას შეერკავადენ სამსხვერპლო კრავებს. იესო ქრისტეც აქედამ იყო წაყვანილი როგორც კრავი შესაწირავად ქვეყნის გამოხსნისათვის...

იუდა გამცემელმან იცოდა, რომ იესო ქრისტე ხშირად დადიოდა აქ, როცა იერუსალიმის არე-მარეში იქნებოდა. მან იქ წაიყვანა მხედრები და მღვდელ-მთავრების მოსამსახურენი. ებრაელების მღვდელ-მთავრებს არ ჰქონდათ უფლება მხედრები დაეპარებიათ მთავრობის ნება-დაურთველად და სჩანს, რომ პილატემ პატივი სცა ებრაელების მღვდელმთავრებს და მხედრებს ნება მისცა გაყოლოდნენ მათ. მხედრები, როგორც წერილებისაგან სჩანს, ოთხასი კაცი უნდა ყოფილიყო, და მღვდელმთავრის მოსამსახურეები კიდევ სხვები იყო, რომელნიც კეტებით იყვნენ აღტურებილი. ეს იყო ღამით და ეს დამე-კი მთავარიანი იყო, და, საკვირველია, რა საჭირო იყო ფარნები, რომელსაც მახ-



რბლები მოგვიტორობენ; მაგრამ საგულისხმოა, რომ ვესსამანიის ბაღში იყო შენობები და იუდას ევონა, რომ მათში დამალვობდა ქრისტე და ამისათვის დასჯირდებოდა ფარნები. მაგრამ იესო ქრისტე პირდაპირ შეხვდა და ჰკითხა მათ, თუ ვის ეძიებენ, ღმერთ უთხრეს: იესო ნაზარეტელსო, ღმერთის ნებით მიეცა მათ. შემდეგ იწყება გამოძიება და ის კაცისაგან გამოუტყველი ტანჯვა, წვლლება და ჯვარტმა, რომელიც ქრისტემ მიიღო და დაითმინა ხალხის გამოსახსნელად. პილატე, რომელმაც გადასწყვიტა წამება და ჯვარტმა იესო ქრისტესი, სახალხოდ აღიარებდა, რომ ერთი ბრალი ვერა ნახა რა იესო ქრისტეს მოქმედებაში. რა ბრალი აქვსო? როცა იკითხავდა, ებრაელებს მღვდელ-მთავრები ერთ მცირე ბრალსაც ვერ წარმოუდგენდენ, მხოლოდ მოყიდულ ხალხს აყვირებდენ: „ჯვარს აცვიტ, ჯვარს აცვიტ ეგო!“

პილატეს ორი დიდი დამნაშაობა ჰქონდა ხალხის წინაშე და ხალხი ძლიერ მომდურებული ყოფდა. ყოველივე ღონის ძიებას ხმარობდა მღვდელ-მთავრების გული მაინც მოეგო. მაგრამ იმისაც სწუხდა, რომ იესო ქრისტესთვის ჯვარტმა უნდა გადაეწყვიტა და ერთი ბრალდებულებაც ვერ ენახა, რომ თავის განჩინება დაეფუძნებია მახედ. ბოლოს, პილატემ სხვა-და-სხვა ცბიერის მოქმედებით გარდასწყვიტა ჯვარტ-ცმით სიკვდილი იმისი, რომელიც ბრძემს თვალებს უხილავდა, კეთროვანთა და განრღვეულთა ჰურონება და მკვდართა აღადგენდა!.. ჯვარზე უნდა ეცვათ ის, რომელსაც აუარებელი ხალხი უგალობდა: „ოსანა ძესა დავითისასა“. მთელი გროვა ხალხისა წაქეზებული მღვდელ-მთავრებისაგან, ერთად ღრიალობდა: „ჯვარს აცვიტ, ჯვარს აცვიტ ეგო!“ პილატემ თავის გასამართლებლად მოაგონა ებრაელებს მათი ჩეულება: ერთი დამნაშაის გაშვება პასექი დღის პატივსცემისა გამო, გამოიყვანა ბარაბა და უთხრა ხალხს: ამ ორში რომელი გნებავსთ განვათავისუფლოთო. ბარაბა იყო საშინარი ავაზაკი და მრავალი ბოროტების ჩამდენი. მთელმა ბრბომ ებრაელების მღვდელ-მთავრების რჩევით გამოთხოვა ბარამას განთავისუფლება და იესო ქრისტეს დასჯა!.. ცბიერ რომის მმართველს განა არ შეეძლო მოეთხოვა მღვდელმთავრებისაგან ბრალდებულება იესო ქრისტეზე? განა არ შეეძლო, თუ ბრალდ-

ებულებას ვერ წარმოადგენდენ, უარი ეთქვა მათთვის? მაგრამ არა, თვითონ ბოროტმა, სვინილის დამდაბლებულმა წყალი მოითხოვა და ხელის დაბანვით ვითომც განთავისუფლა თავი იმ ცოდვისაგან, რაც მან ჩაიდინა ასეთი უკანონო და უღვთო განჩინებით. ძე კაცისა, მხსნელი სოფლისა მიეცა აუწყებელ ტანჯვას, ზნე დაცემულ მხედართა და მოსამსახურეთაგან შეურაცხყოფას და ბოლოს ჯვარტმას. როცა ჯვარზე მიქედელი ქრისტე ითმენდა სასტიკ ტანჯვას, ღმერთს ევედრებოდა მწვანებელთათვის: „ღმერთო მიუტევე მათ, ვინა-იღვან არა იციან რასა იქმონან!..“ შემდეგ წარმოსთქვა: „აღსრულებულ არს“ და განუტევა სული.

განა შეიძლებოდა განბანა იმ ცოდვისა, რომელიც პილატემ და იესო ქრისტეს გამცემელთა ჩიბინეს? მთელ ზღვას არ შეეძლო მოეწმინდა იმ მართალი კაცის სისხლი, რომელიც მათ დასთხიეს. სისხლი მაგისი ჩვენზედა და შვილთა ჩვენსა ზედა, იძახდნენ ურიანი. მართლაც, დავაკვირდეთ ისტორიას. რა მოხდა? სანამ იესო ქრისტე აღსრულებოდა ჯვარზედა, იუდა გამცემელმა, აღშფოთებულმა თავისი საზიზიარო მოქმედებით, თავი დაიღრჩო. კაიაფა მეორე წელს განყენებულ და დათხოვნილ იქმნა. იროდემქსარიობობასა შინა გარდაიცვალა სასირცხოდ. პილატე მალე იქმნა განსჯილი იმ საძაგელი საქმისთვის, რომლის გამოისობით ებრაელების მღვდელმთავრების გულის მოსაგებად ჩაიდინა ისეთი უსამართლოება, და მართალი, უმანკო იესო მისცა ჯვარტმად, და გავდებულმა მთავრობისაგან მრავალ-გვარ უბედურებათა შემდეგ თავი მოიკლა და დასტოვა თავისი სახელი საწყევრად ყოველთა.. ერთ მოდგმის შემდეგ სახლი კაიაფასი აჯანყებული ხალხისაგან დანგრეულ და დაქცეულ იქმნა და მის შვილს ხურთის ცემით ათრევდენ ქუჩა-ქუჩა სანამ არ მიათრეის იმ ადგილას, სადაც გარდასწყვიტელი იყო მისი მოკვლა. ზოგიერთ მონაწილეთა და მყურებელთა შვილები, ათასობით მსხვერპლნი შეიქმნენ იერუსალიმის ქალაქის ოხრებისა და ხალხის გაქვლეტისა. ებრაელები ყვიროდენ: ჩვენ არა გვივის მეფე, გარდა კეისრისა და მათ მართლაც არა ყავდათ მეფე კეისრის გარდა. კეისარმა მხოლოდ დროებითად მიანიჭა მათ სხვათა შესახებდაც ცო-



ტა რამ თვითმმართველობა, მაგრამ ყველა კვისრები ერთი მეორეზედ მეტად ავიწროებდნენ მათ, სდევნიდნენ, სტარცვადნენ, გლეჯავდნენ და აწუხებდნენ იმ ზომამდე, რომ ზოლოს თვით კვისარს აღუდგენ წინ, იმ კვისარს, რომელსაც თავის ბუნებით მეფედ სთვლიდნენ, ოღონდ კი ქრისტე ჯვარს ეცვათ. და რა დაემართა მათ? კვისარმა თავის მხედრებით მოსრინა ყველა "მამაიცი დამცველი იერუსალიმის ნანგრევებისა და სისხლის ნიაღვარი დააყენა ებრაელებისა. ებრაელები ითხოვდნენ კვისარის კანონებით, რომ ჯვარს ეცვათ ქრისტე, მაგრამ თვითონ ისინიც და შვილებიც ათასობით იყვნენ ჯვარზე ჩამოკიდებულნი თავის ქალაქის იერუსალიმის გარშემო, ასე რომ აღარ მოიპოვებოდა თავსუფალი ადგილი და მასალა ჯვრებისათვის და ჯარისკაცები სხვა-და-სხვა ზომებს იგონებდნენ მათ გასაუფლებლად. ებრაელების მღვდელმთავრებმა ოცდა ათი ვერცხლი მისცეს იუდა გამცემელს და თვითონ ათასობით იყვნენ გასყიდულნი უფრო მცირე ფასად. ებრაელები იძახოდნენ: „სისხლი მაგისი ჩვენზედა და შვილთა ჩვენთა ზედაო“. და მართლაც, მართლის სისხლი სდევნის მათ. იმ დროიდან, თვითეული საუკუნე მოწმობს თუ რა შეუბრალებლად იღვრება მათი სისხლი.

ყველასაგან შენიშნულია ებრაელების დევნა მათი სისხლის ღვრა; ყველას შეუძლია ეს მიაწეროს ისტორიის ჩვეულებრივ მოვლენას. მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ისტორიულ მოვლენათა უთუოდ საფუძველი აქვს და უღვთოდ არა ხდება რა კაცობრიობის ცხოვრებაში. ვისაც როგორ უნდა ისე იფიქროს, მაგრამ ის ქეშმარიტება უეჭველია, რომ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, ებრაელების ხალხოსნობის ხესაცა ცული ძირს დაედვა. მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ, მთელი იერუსალიმი თითქმის ერთ დიდ სასაფლაო აკლდამად გარდაიქვა, — სასაფლაოდ უცხოთა. დანთხეული სისხლი მართლისა, როგორც კაინის ბეჭედი დაესვა შუბლზე ყველა ურიათა და მათ ექნება ეს ბეჭედი მანამდე, სანამ არ აღიგებებიან სრულებით დედამიწის ჰირიდან. სისხლი მართლისა ღვთის მოწყალეებისამებრ დანთხა იმათთვისაც, რომელნიც იყვნენ დამნაშავენი.

ლოცვის ხმა უფლისა, რომლის ენის დადუმებას ასე სცილობდნენ ებრაელები: „მიუტევე უფალო, რამეთუ არა იციან რასა იქმონან“, — იყო მათთვისაც. ღმერთთან ჰყოს სისხლი მაცხოვრისა მათ გამოასახსნელადაც, ღმერთთან ისმინოს ხმა მისი...

ყოველ წელს ვიგანებთ მთელს ქრისტესცხოვრებას, ყოველი წირვა ცხადად წარმოგვიდგენს ღვთის მოწყალეობას, მის სიყვარულს კაცობრიობისადმი, მაგრამ, სამწუხაროდ, მრავალნი რჩებიან გულ-ქვავად და მხოლოდ ქრისტიანობის სახელი შერჩენიანთ და მაცხოვრის მცნება: „შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი“, მათ გულსა და სულს არ უგვრძნია. ზოგიერთები ისე მტრულად უყურებენ და ექცევიან უცხოტომთა, როგორც ებრაელები. დროა დაუფიქრდნენ ამას ყველანი, რათა ასცდნენ ღვთის რისხვას, რომელიც აუცილებელია ყველა მშავარელთა, მჯანბრელთა, უსამართლოთა და უჯაოდ ხალხის შემაწუხებელთათვის. ნურავინ იფიქრებს, რომ განეროს ღვთის რისხვას იმ მოქმედებისათვის, რაიცა წინააღმდეგია მაცხოვრის სახარებისა და მცნებისა. ქვეყანა დიქცევა, მაგრამ იესო ქრისტეს სიტყვა არ დეარდება... ეხლანდელი დროის ქრისტიანები ბევრად ჰვან იმ ებრაელების ხალხს, რომელნიც ცხოვრებდნენ ქრისტეს დროს. სიტყვით ხშირად უგალობენ ქრისტეს ოსანსა და საქმით უარყოფენ მას და ჯვარს აცმენ. მზად არიან სარწმუნოებით ისარგებლონ მხოლოდ ნივთიერად, მაგრამ ქრისტეს მცნებას და ზნეობას კი უარყოფენ... ქრისტეს სიტყვისამებრ, მრავალნი არიან ჩინებულ, მაგრამ მცირედნი რჩეულ...

დკე. ღ ღამაშაიქ.







### ადგომა და წითელი კვერცხი.

(თარგმნილი)

დღესასწაული დიდის, ბრწინაველ ზსკეის უმეტესად სსახარულთა უფელ ქრისტეანე ერისთავის, იგაჲ ჭეშმარიტად „დღესასწაულთა დღესასწაული“ თავის დიდის რელიგიურის მნიშვნელობით. ერი მოუთმენლად მოუღის ამ ბუნდირ დღეს და დიდის სსახარულით გეგბება; ამ სსახარულს თითქო თვით ბუნებაც თანაურძობის, თვითონაც ახლდება, იმისეჲა სსახარის მწვანითა, მისარულთა.

იმ დროს, როცა ჩვენი ვლდესასწაულობით წმ. ზსკექს, უგელა წარმართთა იცოდა დღესასწაული ძველად გაზაფხულის ზატეასცემლად. ძველი გერმანელები გაზაფხულზედ დღესასწაულს მართავდნენ ესრედ წოდებულ „ოსტარი“-ისს (დმერთი გაზაფხულის); ესევე სსხელი ეწოდებოდა მშინ აზრილის თვეს (Ostermonat), ხალხს მიჭქონდა მსხვერპლად გაზაფხულის დმერთისთვის ზირველ მისის უგაივლები. დღესაც გერმანელები ზსკექს უწოდებენ „Ostern“-ს.

ძველ სპერსეთში დღესასწაულობდნენ გაზაფხულის დროს ესრედ წოდებულ „ზარსტი“-ის უქმეებს; ამ დღეებში შეიკრებოდნენ ნათესაგები, ურიგებდნენ ერთმანეთს სასურებებს და ისინებდნენ თავიანთ მიცვალებულთ.

სპარსეთში, ძველ დროს, გაზაფხულზედ დღესასწაულობდნენ ახლწლის დაწევის და იმ დროს ბუნების განახლებისას ატარებდნენ დიდის მისარულიობით. ბუნდირ დღეების დადგომის თითვის სრულით აუწყებდნენ ხალხს. ვარსკვლავთ-მრინებულნი მშვენიერ ტანისმოსით მოსიღნი, მიეჩქარებოდნენ შეფის სსახარებში, ანუ ქალაქის მმართველთან, ისმოდა უგელგან სმ ნადარისა და სუეირის, სიმღერა მომღერადათ.

ისპანეთში იგავე დღესასწაული რვა დღეს გასტანდა სოფელ. მთელი ქალაქი სსახარულს და შრიამულს ეძლეოდა. სპარსელები ამ ბუნდირ დღეებს უწოდებდნენ ახლ ტანისმოსის დღესასწაულსაც, რადგან თვითუფლი ბუნება-სასწაულიც კი ახლად ტანისმოსის იცვამდა ამ დღეებში. მდიდებოც კი სულ იმის სცდილობდნენ, დღეში რამდენჯერმე ჩაეცვათ ახლი ტანისმოსი, დაკეუბებოდა.

გაზაფხულში კი, ჩვენი ადგომის დროს, ებრძვებიან სოფლებდნენ თავიანთ ზსკექს, რომელსაც დიდი

და დროს რელიგიური მნიშვნელობა ჭქონდა. ძველის ადომის ეკკლესიაში სიტუვა ზსკექი ჭნიშნავდა—აქევას, არიდებას. ებრძვები დღესასწაულობდნენ ზსკექს მისაგონებლად იმისა, რომ ახველსმს სიკვდილისამ მისწევად ერთ დამეს უგელა ზირმშო ეგებატისა, სოფლ დიფარად და აარდა დმერთის ეს მურავა სსხლას ისრავლისას. ამ დღეის რსხვის სსარდლებად უფელს ებრძვებს ნიშანი უნდა დაელო თვისის სსხლას კარისთავის დაეულ კრავის სისხლითა. ზირმშოთა გაწვევტამ აიძულა ფარანი რამესი გაერთავისუფლებინა ებრძვები ადომის ქვეყანაში წასსვლელად.

დღემდე სრულებენ ასე ებრძვები ზსკექის დღესასწაულს; მით ზსკექის სოფრავა უხაშო ზური ნიშნავს სინქარეს ეგებატდან გასვლისს, სოფლ მწარე წვანლი იმ მწავვე და ტანჯვის ცხოვრებას, რომელიც ჭქონდათ ებრძვებს ეგებატის უმობაში.

ახლ ადომის ეკკლესიაში ზსკექი თვით იესო ქრისტეა და, მირწმუნე მისის მკვდრეთით ადგომის ქრისტეანი, უარ-მოფელი ებრძვების სიადუმლო ადათის, აძლეეს ზსკექს მნიშვნელობას სსახარულთა დღესასწაულისს. რასვეირველია, დიდი დრო გავიდა, ვიდრე ზსკექს მიადღა სრული ქრისტეანული ხსათა. ძველ დროს ქრისტეანი ბეგრველ სრულებდნენ ურიულს ჩვეულებას-ადის; შუა სუეუხუშტეც კი ხალხი ზირად წარმართულ ჩვეულების ეფერეს აძლედა ზსკექის დღესასწაულს.

ხრდილოეთ გერმანიაში, მაკალითად, XVI სუეუხუში არსებობდა კიდვე შემდეგი ჩვეულება: ზირველ დღეს ზსკექისს უგელა დაბუბს, სოფლებსა და ქალაქებს, გორებს და კლდეებსე—ანთებდნენ ცეცხლს და გარშემო უფიდნენ ალს ბაგმეობა და ქალები, ჭვირდნენ ცეცხლში ხელ-სსოცებს, ისრადღენ მადღა ჭარში ქედებს და გარშემო დატრდნენ.

ქუჩებსა და მოედებში ზსკექის დღეს თამაშობდა მსახობით, წარმომდგენელი მცნოფრის ტანჯვისს, სიკვდილისა და ადგომისს. სსხელითა წოდების კაცნი თვითონ აძლევენ დღესასწაულს სსახარულის სსახარის.

მე-XIII სუეუხუში ეკკლესიის მსახურნი და საზოგადოელ ემარვონი კაცნი დადიოდნენ ქუჩებში ჩირადნებით, ნადარისა და სუეირის კვრით და ავრობებდნენ მოქალაქეთაჯან შედელით კვერცხებს.

ძველის მცოდნენი მოგვიხსნობენ, რომ კვერცხებით ერთმანეთის მიდღევა და მათი ღებვა შემოვიდა ჩვეულებად ფინიკიადგან, სდაც კვერცხი სიმელოთ



მიანდათ მსოფლიოს შექმნისა. აღმოსავლეთის ქვეყნებში კი კვერცხი აუო ნიშანი მთლანობისა.

სხარსეთში ძველად ხალაწის დღეს სთავაზობდნენ ერთმანერთს თქროთი დაფორღის კვერცხს. ზოგა მიაზგანი ძღიან ძვირად თურმე ღირდა. როგორც მწმომოს ზღინი, რომაელები ხმარობდნენ შეღებულს კვერცხებს სხვა-და-სხვა შემთხვევაში: ღვთის მსახურებისა და ცოდვათაგან განბნის დრფს.

ეგვიპტელთ კვერცხი მიანდათ მსოფლიოს სხედ. ქრისტიანულის კადმოდემით, კვერცხი, როგორც სიმბოლო მანსოგრის ადღომისა, შემოვიდა ჩვეულებასში მოდექულების დროდღან; ასე რომ, თუ დავურწმუნებით ლეგნადარულ კადმოდემს, მარამ მკვლადინელებს, ოღეს ქ. რომს იმპერატორ ტიბერისთან მივიდა, მირთვა ხელმწიფეს წითელი კვერცხი და შემდეგ დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება. ამ მკვლადით მიგზაძეს სხვა ქრისტიანებაც. ძველის-ძველ დროის კუბოებში სწორად უზოგნათ კვერცხები მარმარადღეს ქვისა. ჩვეულებს წითელ კვერცხის მილოცვისა დღეს მითელ სქრისტიანობისა გავრცელებულია.

ადღომის დღეებში თითქმის ეველგან დიდი მისარულება იციან ქრისტიანებმა.

იტალიაში და უმეტეს რომში ზსეკქს მიექებებიან სოღმე თოფის სრლოით და შუშუნების აშეგობით; დიდის ამბით ასრულეს ამ დღეს მსახურებას ზანი რომისა. უზარ-მზარა ტაძარი წმ. მოქექულის ზეტრესი სოცნებო სურათს წამოადგენეს ამ დღეს, ისეა გაბწყენებულელი და განადებული, რომ ეოველივე ეღვარებს და თვალსა სწრის ადამიანს.

საბერძნეთში ეველახედ საეურადღებო და შესამჩნევია ზსეკქის ვრავი, რომელიც თვითთულ ოჯახში უნდა დაიკლას. მარტო ათინაში ეოველ წლივ ზსოცენ 15.000, სოღო მთელს საბერძნეთში 200.000 დიაკვლის. ლიტანიობის შემდეგ ეოველ მსრევ ისინი გრადი თოფისა, შუშუნების ჭას-ჭუხი და ასე გეკენებათ, ამ დამეს ძიელი გაუქმებულათ. ეს საეოველათა სისარული სმს დღეს გასტანს სოღმე.

ისპანიაში ზსეკქის დღეს იციან სდღესსწყოლო ლიტანიობა, ცნობილის Pasos სხედ-წოდებით. ამ ლიტანიამი ცოცხლად წარმოადგენენ სოღმე ქრისტი მანსოვარს და მისის ტანჯვისა, სიკედღისა და წმიდა ადღომის მიანწიღეთა. (ივერიაჲ)

რ მონაწილეობა შეუძლია მიიღოს სამღვდლოებამ ხალხში გიგენური ცოდნის გავრცელებისათვის.

(Спут. здоровья 1902 г., № 8)

გარდა სახალხო მასწავლებლისა და საერობო ექიმისა, არავინ ისე ახლო არ სდგას ხალხთან, როგორც მღვდელი. მას ხედება მიიღოს უახლოზღესი მონაწილეობა ხალხის ცხოვრებაში, როგორც მოვალეობისამებრ, ისე ხალხის ცხოვრების იმ პირობებისა გამო, რომელიც აკავშირებს მღვდელს მრევლთან. ასეთი მქიდრო კავშირი მღვდლისა მრევლთან და განსაკუთრებით თავისუფლება სიტყვისა, რომლითაც ის მიიქვევა ხალხისადმი ევ. კათედრი დამ და აგრეთვე ყველგან საჭირო შემთხვევაში, აძღვეს მღვდელს შეძლებას დიდი გავლენა იქონიოს ხალხის გონებასა და ზნეობაზე, მისს სულზე და ზშირად მისი ცხოვრების ბევრ პრაქტიკულ მხარეებზედც. რომ ყველა ამ ძლიერი საშუალებით არ ისარგებლოს განათლებულმა მღვდელმა და არ ეცადოს ხალხის განათლებას, საკეთილო გავლენას მის ზნეობასა და გონებაზე, ეს იქნება მისი დღეღვენილობა, უზარგებლოდ დაკარგვა ძვირფასი ღრისი, რომელსაც ის უნდა ხმაროდღეს საზოგადო სიკეთისათვის. მღვდელს თამამად შეუძლია ევ. კათედრი დამაც კი ასწავლოს ხალხს, რომ სხეული, როგორც სული, დიდი ყურადღების ღირსი ნაწილია კაცის არსებისა, რომ ის, ღვთის სიტყვისამებრ, არის „ტაძარი სულისა წმიდისა“ და მისი სისუფთავე სირთელის შესახებ უნდა გეკონდეს გეროვანი მზრუნველობა. ყველა ეს მით უფრო მოსახერხებელია მღვდლისაგან, რომ სწავლის ჯანმრთელობის დაცვაზე და მეურნალობაზე მტკიცე კავშირი აქვს ქრისტიანულ ზნეობასა და მის კანონებთან ვრცელი ნაწილი გიგენისა და მეურნალობისა, სადაც განიხილებიან კაცის სულისა და ხორცისათვის საზარალი გავლენანი, მაგლითად, ლოთობისა, ნაყროვნებისა, გარყენილებისა, ამპარტავენებისა, მრისხანებისა და უზომო თავმოყვარობისა, მქიდროდ დაკავშირებული არიან მცნებებთან ქრისტიანულ ზნე-



ობაზე. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ შემთხვევაში კანონები ქრისტიანული სარწმუნოებისა და გიგინისა სრულდებით ეთანხმებიან ერთი მხარეს. ღვთის-მეტყველების დოქტორს ობოლენსკის, აწინდელ ნიკოლაევის ეპისკოპოსს ტინონს, ეპისკოპოსსა და სახელწოდების დროს ქ. სამარაში, ტყვილი არ უთქვამს ამას წინედ (შარშან) შემდეგი: „გიკულევი რა ავადმყოფობათა მიზეზებს, მე პრაქტიკულად დავრწმუნდი საღმრთო წერილის სინამდვილეში, რომ ტანჯვა ხალხისა და თვით სიკვდილიც წარმოსდგებიან ცოდვისაგან: სახალი ცოდვილისა სიკვდილი არს (რომ. 6, 23). სამკურნალო სწავლა და სიტყვა ღვთისა ერთმანერთში შეთანხმებული არიან და თავის სწავლაში წარმოსთქმენ ერთსა და იმავე აზრს, მხოლოდ სხვა-და-სხვა ნიუტაციებით; მკურნალობა ამბობს: თავს ზარალს ნუ აძლევ და საღმრთო წერილი კი—ნუ სცოდავ. მე დავრწმუნდი, რომ ექიმები მარტო კი არ უნდა ექიმობდნენ ხალხს, კიდევ უნდა ასწავლიდნენ რიგიან ცხოვრებას, რომ ხალხი ასცდეს ზარალს უსჯულოებისაგან“. ანაირად ყოველ განათლებულ მღვდელს შეუძლია გააფართოვოს თავისი მოღვაწეობა ხალხში ქადაგებით უსაქიროესი გიგინური სწავლის შესახებ. მღვდლისაგან სადმე გლენის ოჯახში წარმოთქმულ სიტყვას მტტი გავლენა ექნება ხალხზე, ვინც ექიმისას, რადგან მღვდელს საქმე აქვს კაცის ზნეობრივ მხარესთან, მის სულთან. აქედამ ცხადზე უცხადესია მისი საჭიროება, რომ ჩვენი სასულიერო სემინარიების კურსში შეტანილ იქნეს სწავლება პიროვნული და საზოგადოებრივი გიგინისა. ესეც უნდა ვსთქვათ, რომ გიგინის სრულდებით უცოდინარ მოძღვარსაც შეუძლია შეივსოს ასეთი ნაკლი თავისი განათლების ადვილად ვისაგები წიგნების კითხვით გიგინაზე, როგორც გიგინებიც სამკურნალო მწერლობაში ბლომად მოიპოვებ. დიდად მოსაწონი იქნება, თუ თავისუფალ დროს კვირა-უქმე დღეებში მღვდლები გამართვენ ხოლმე ხალხთან კითხვა-საუბრებს. მღვდლის მონაწილეობა სახალხო პიგინური შინაარსის კითხვა-საუბრების გამართვაში უფრო მეტ მსმენელს მიიზიდავს იმ დიდი პატივისა და სახელისა გამო, რომელიც უეჭველად მოხვეჭილი აქვს ქეშპირიტ მოძღვარს თავის სამრევლოში. ადვილად წარმოსადგენია, თუ რა დიდ სარგებლობას მოიტანს ასეთი სახალხო კითხვა-საუბრების

გამართვა განსაკუთრებით იმ სამრევლოებში, სადაც მღვდელს სამრევლოში ნდობა და სიყვარული დაუმსახურებია. სახალხოდ წარმოთქმული ცოცხალი სიტყვა ძლიერ მოქმედებს უბრალო ხალხზე და ასეთივე სიტყვა, წარმოთქმული საყვარელი მოძღვრის პირით, ასჯერ მეტ გავლენას იქონებს მსმენელზე, ვინც უბრალო კითხვა ოჯახში. ანაირად ეკკლესიის მწყემსთ სოფლის ხალხის უმეტრების სიხნელეში შეუძლიათ შეიტანონ და გაავრცელონ შუქი გიგინური ცოდნისა და ეს დიდი პროგრესიული და სასარგებლო ღვაწლი იქნება ჩვენი ქვეყნის წინაშე, სადაც პროცენტი გარდაცვალებულთა დიდად აღემატება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში გარდაცვალებულთა პროცენტს. თუ კი ეკ. მწყემსნი თავის წმიდა მოვალეობად სთვლიან იზრუნონ ქვისა და ხის „ხელით ქმნილ ღვთის ტაძრებზე“—მით უმეტეს, ნდა ზრუნავდნენ კაცის სხეულის სიმრთელეზე, რომელიც საღმრთო წერილის სიტყვით არის ტაძარი სულისა წმიდისა. სიმრთელე და დღევანდელი კაცისა, ეკკლესიური თვალთაყ რომ შეხედოთ, არის დიდი სიკეთე, დიდი ღვთის მადლი, თორემ იგივე ეკკლესია არ აღავლენდა ლოცვათა ღვთისადმი თვის წევრთა სიმრთელისა და დღევანდელი მათისა. მაშ განიმსჯელონ ჩვენი მოძღვრები იმ აზრით, რომ უმკაცარ ხალხში მათგან გიგინური ცოდნის გავრცელება ისეთივე საპატიო და სასარგებლო მოღვაწეობაა, როგორც ქადაგება ეკ. კათედრილამ.

„მწყემსის“ რედაქციამ თითქმის ყველა ეკკლესიებს უფულოდ დაურიგა ახლად გამოცემული კარაბანინი, მრევლის მღვდელს მარტო ამ წიგნიდანაც შეუძლიათ მრავალი სასარგებლო ცოდნა შეიძინონ თვითონ და მრევლსაც გააგებინონ სხვა წიგნებიც რომ არ იყიდონ. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ ადგილას მღვდლებს ვერც უაუკეთხველიც აქვს!..

მღ. ს. ჭუმბურიძე.





## «მწამისი» კორექსონდენციები.


სოფ. თაჩა (ქუთაისის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ხუთი ვერსის მანძილზე. აქ არის სამი „შტატის“ ეკლესია, რომელთა შორის, შუა სოფელში არის ხოპის წმ. გიორგის ეკლესია. ეს ეკლესია ძირელ პატარაა. მას აქვს მხოლოდ ორი პატარა ფანჯარა აღმოსავლეთით და დასავლეთით. ეს ფანჯრები ისე პატარა არის, რომ მათი სინათლე არ ჰყოფნის ეკლესიას. მარცხენ გარედან კედელზედ მოდგმულია პატარა ქვის ოთახი (ეკეტერი), რომელსაც ერთი პატარა სარკმელი აქვს. თვითონ ამ ოთახში, რომელშიდაც დაეტევა ათიოდე კაცი, როგორც გადმოცემა მოწმობს, სწირავდა ხოლმე ერთი მღვდელთაგანი იმ დროს, როდესაც ეს ეკლესია იყო ორ შტატინანი. შიგნით, ეკლესიის კედლებზედ და გუმბათზედ მოხატულია სხვა-და-სხვა წმიდანები. „კრასკა“ მშვენივრად შენახულია, მხოლოდ რამოდენიმე ნახატი მოშლილა და ზოგნი ჩამოგრებული არიან. ამისთანავე კედლები და გუმბათი ამ ეკლესიის დაფარულია სხვა-და-სხვა წარწერებით ხუცურ-მხედრული ასოებით. ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთ წარწერას, რომელიც ქვზედაა გარედან დასავლეთის მხრით: „მონასტერი ესე წმიდის გიორგისა აღაშენე მეფეთმეფემ ლიბარტიანმა თანაშემწეობითა თაყა მაქუტაძისათა“... —ქორიკიანი სრულიად არა სჩანს, წაშლილა; როგორც ეტყობა ამ ეკლესიის აშენება ეკუთვნის ძველ დროს.

ამ ეკლესიის სამრევლოს შეადგენს ორას კომლამდე მცხოვრებნი. რადგან ეკლესია ძირელ პატარა არის, ამიტომ კვირაობით ბევრი მლოცველნი წირვის დროს გარედ არიან. ამ 12 წლის წინად მღვდლად აქ გადმოიყვანეს ამბაკო ლიბრაძე, რომლის თავმჯდომარეობით შედგა კომიტეტი ეკლესიის ასაშენებლად და უმრავლესობის გარდაწყვეტილებით დაიწყო ეკლესიის შენება ძველი ეკლესიის გალავანშიდ, რომელიც უჯდებათ 12 ათას მან., მაგრამ ბაღაერის და ცოკოლის აშენების შემდეგ საქმე შეჩერებულია. როგორც საზოგადოდ ჩვენში ხშირად ხდება,—ამ კეთილ საქმესაც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი; გაიყო ხალხი ორ ჯგუ-

ვად და მეორე ჯგუფმაც (70 კომლი) მოინდომა საკუთარი ეკლესიის აშენება. ამით იყიდეს ორი ქვევა ალაგი, რომელიც უკვე ნაკურთხია სასაფლაოდ და განსვენებული შესაირონ ეპისკოპოზის ნება-რთვით გაურიგდენ ოსტატს; ამ აღნიშნულ ალაგზედ ათამდე მიცვალბულნიც არიან დამარხულნი, მაგრამ შემდეგ გუმბერნატორის კანკარგულებით აღკრძალულ იქნა ამ ადგილზედ მიცვალბულთა დასაფლავება—სასწავლებლის, სასოფლო სამმართველოს და მოსახლეებთა სიახლოვისა გამო. ამვე დროს მოვიდა კანტორიდან გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც მთელმა მრევლმა უნდა ააშენოს შტატის ეკლესია და რომ მეორე ჯგუფი მრევლისა არ თავისუფლდება თავის საკუთარი ეკლესიის გაკეთებით—შტატის ეკლესიის გაკეთების ხარჯიდან. ამნაირად არია საქმე. ხსენებული ეკლესიის მღვდელი ამბაკო ლიბრაძე, კვირა უქმედღებებში წირავზედ წარმოთქმული სიტყვებით ცდილობს შეარიგოს სამრევლონი, მაგრამ ეკლესიის შენება კიდევ შეჩერებულია. 17 ამა მარტს ხსენებულმა მღვდელმა მგრძნობიერის სიტყვით მიმართა ხალხს ახალი ეკლესიის აშენების შესახებ. მაგრამ ჯერ-ჯერობით საქმე შეჩერებულია და ყველანი მოელიან მღვდელ-მთავრის მობრძანებას, მაშინ ამ ეკლესიის საქმე უთუოდ დაბოლოვდება.

საზოგადოდ, მღვდელი ლიბრაძე ძირელ ცდილობს ეკლესიის გამშვენიებისათვის; მისი მეცადინეობით ეკლესიამ მოიპოვა მრავალი საჭირო ნივთები და ამ თვეში კი შეიძინა ეკლესიისათვის 18 ფუთიანი მშვენიერი ზარა, ღირებული 400 მან ფულები მღვდელმა თვითონ შეაგროვა თავის სამრევლოში. ვუსურვებთ მამა ლიბრაძეს, რომ ესეთი წყნარი შრომით შეესრულებიოს თავის მიზანი ე. ი. ახალი ეკლესიის აშენება, რომლისთვისაც საჭიროა მთავრობისაგანაც დახმარება.

ღმის ორ-კლასიანი სასწავ. ზედამხედველი  
კორნელი ჯუღელი.







უოვლად სიმღვედლო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდისაგან დღესასწაულობითი წირვა მიმღეიმის მონასტერში 21 წარსულ თებერვალს.  
 ეველიერის ხუთშაბათს.

სანამ მიიხველს მოუთხრობდეთ მონასტრის დღესასწაულობასა და არქიერის წირვის შესრულებას, საჭიროდ ვრაცხთ ამ მონასტრის მოკლე ისტორიული მოთხრობა მოგიყვანოთ:

საქართველოს ყველა მონასტრებში განსაკუთრებით შესანიშნავია თავისი სიძველით შიო-მღვიმის მონასტერი; იგი მცხეთიდან მდებარეობს ჩრდილოეთ-დასავლეთით. თბილისიდან ამ მონასტრამდის არის 30 ვერსი, ხოლო მცხეთიდან 8. იმ ადგილს, რომელიც დღეს მონასტერს უქვრია, ეძახიან სარკინეთს, რადგან აქ უწინ რკინის მაღანი ყოფილა. ჯერ კიდევ იესო ქრისტეს დაბადებამდე, როგორც მოგვითხრობენ საქართველოს მატიაენი, ამ ადგილზე ყოფილა გამოქვაბული საცხოვრებელი მღვიმეები, რომლებიც, როგორც ზვიპირ-გადმოცემით ვიცით, დაუნგრევი აღექსნდრე მაკედონელის ჯარს. ამ ადგილზე ერთ იმ 13 სირიელ მათავანს, რომელნიც მოსულან საქართველოში მეექვსე საუკუნეში და სახელდობ, შიოს აღუშენებია ვრცელი უდაბნო ბერ-მონაზონთათვის. ამ მღვიმეთა რიცხვს შემდეგში იმდენად უმატია, რომ მათში, როგორც ვახუშტი მოგვითხრობს 5,000 ბერ-მონაზონნი სცხოვრებდნენო. 1845 წელში ამ მღვიმეთა რიცხვი, როგორც ამბობს პლატონ იოსელიანი, ათასამდე ყოფილა. ეს მღვიმეები გაფანტული არიან მთის ფერდობებზე და დღეს ბევრ მათვანს კაცი ვერც კი მიუღვებია. ზოგიერთ ამ მღვიმეებში არის ეკლესია კანკელით. განსაკუთრებით ბევრი მღვიმეები ყოფილან გამოქვაბულნი თვით მთის მწვერვალების ძირში.

შიო-მღვიმის მონასტერში მიღის სამი გზა: ერთი გზა მიღის მუხრანიდან და მის მახლობლად მდებარე სოფლებიდან, მაგრამ ეს გზა ძალიან ცუდი სასიარულოა, რადგან გაყვანილია ხრამებზე და მაღალ ციცაბო კლდეებზე; მეორე გზა მიღის სახმრეთ-ქართლიდან, მაგრამ აქ მგზავრს წინ

უხვდება მდინარე მტკვარი, რომელზედაც გადიგამოლიან მონასტრის პორმით; მეორე გზა მიღის მცხეთიდან. ეს უკანასკნელი გზა არის გაყვანილი მთის ქედზე, რომელზედაც იესო ქრისტეს დაბადებამდე მდებარეობდა სატახტო ქალაქი, სადაც დღესაც მოსჩანან შენობა ნანგრევები. მთის ქედის მეორე მხრით უნდა დაუყვე დაქანებულ გზას. რომელიც გაივიღის ერთ ხრამზე, რომელსაც ჯოჯოხეთის გზას ეძახიან. მონასტერთან მდებარეობს მშვენიერი ტყიანი მთა, რომელზედაც აღშენებულია ჯვართ-ამაღლების გუმბათიანი ეკლესია. იგი შიგნით მშვენიერად არის დახატული. ამ ეკლესიიდან თავს დასჩერებხარ იმ არემარეს, რომელზედაც მდებარეობს თვით მონასტერი და სხვა შენობები, რომელნიც მონასტერს ეკუთვნიან. ძველი მონასტრის ბერ-მონაზონთა საცხოვრებელ მღვიმეთაგან დარჩენილა დღეს მხოლოდ ერთი მღვიმეა, რომელიც მშათა სასადილო ოთახი ყოფილა. ამ მღვიმეში დღესაც მოსჩანს ერთი მილი, რომლის საშუალებით მღვიმეში შემონავლია წყაროს წყალი; ეს მილი გაუყუთებიათ მეთორმეტე საუკუნეში, ხოლო მეთვრამეტე საუკუნეში ამ მილიდან წყლის დენა შეწყვეტილა.

შიო-მღვიმის მონასტერი ზედა-ზენის მონასტრის შემდეგ, რომელიც დაუარსებია ასირიელ მათავა უმფროს იოანეს, ითვლებოდა პირველ მონასტრად. რადგან ამ უდაბნოში ბევრი ბერ-მონაზონნი სცხოვრობდნენ, ამიტომ იგი იწოდებოდა ლავრად, რომელსაც მართავდა წინამძღვარი არქიმანდრიტის ხარისხით. ამ მონასტრის წინამძღვართაგან განსაკუთრებით შესანიშნავი არიან: ევარტ, მოწაფე წმ. შიოსი, — ნეოფიტე; ეს ნეოფიტე პირველად პერსიის ჯართა უფროსი ყოფილა და სახელად ომარი რქმეულია. ქრისტიანობის მიღების შემდეგ დაერქვა ნეოფიტე, რომელიც მეშვიდე საუკუნეში შიო-მღვიმის მონასტრის წინამძღვრობისაგან აღყვანილ იქმნა ურბნისის ეპისკოპოსად.

შიო-მღვიმის მონასტერს ბევრი ადგილები ჰქონდა და გლეხებიც ჰყავდა, მენფებისაგან ნაბოძები; მხოლოდ მონასტერს ჰქონდა თევზის ქვრის უფლება მდინარე მტკვარზე იმ ადგილებში, რომელნიც მონასტრის მახლობლად მდებარეობდენ, მონასტერს ჰქონდა მშვენიერი ვენახი სოფელ ძეგვიში.



შიო-მღვიმის მონასტერში არის სამი ტაძარი: უმთავრესი ტაძარი აღშენებულია გაუთლელი ქვისაგან. ეს ტაძარი, როგორც ზებირ-ვადმოცემა

მოგვითხრობს, აღშენებულია თვითონ წმ. შიოს სიცოცხლეში. იგი აღშენებულია იოანე ნათლისმცემლის დაბადების სახელობაზე; ამ ტაძარს აქვს



შიო-მღვიმელი.



მიშენებული ოთხი ეგვიპტური, რომელნიც, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელ დროს არიან აღშენებულნი. ამ ტაძრის ერთი წარწერა გვარწმუნებს, რომ როგორც თვით ის, ისე მისი თალი, შეუკეთებია 1730 წელში გივი ამილახვარს, რომელიც ითვლება თბილისის ქაშვეთის ეკლესიის აღმაშენებლად. ეს ტაძარი, როგორც ეკლესიის ოქმებიდანაა სჩანს, იწოდება სამეფოდ. უმთავრესი ტაძრის ეგვიპტურებში იმარხებოდენ დიდ-გვარეულობათა სხვა-დასხვა პირნი. ამ ტაძარში არის მღვიმე, სიმალით ხუთი საყენი. მღვიმეს უკანიდან აქვს კარები, რომელნიც შეუწირავს შაჰ-აბაზსს. ამ მღვიმეში არის საფლავი ღირსი შიოსი. ამ საფლავის მორთულობა და ტაძრის კანკელი 1725 წელში რუსეთიდან გამოუგზავნია საქართველოს მეფეს ვახტანგ მეექვსეს.

მეორე ტაძარს, რომელიც ღვთის მშობლის მიძინების სახელზე არის აშენებული, გუშაბთი არა აქვს. თალი ანგურისაგან აქვს გაკეთებული. არავინ იცის, თუ ვისი აშენებულია ეს ტაძარი. ეს ტაძარიც, როგორც ზედწარწერისაგანაა სჩანს, გივი ამილახვარს შეუკეთებია. მესამე ტაძარი აღშენებულია თვით წმ. შიოს სახელზე, იგი ორივე ტაძარზე მორჩილია და თვით მონასტრის შესავალთან არის აღშენებული. ეს ტაძარი უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ის ადგილი, რომელზედაც ეს ტაძარი არის აშენებული, ყოფილა თავდაპირველად საცხოვრებელი ბინა წმ. შიოსი. ამ ადგილიდან ცოტა მოშორებით არის წმ. შიოს მღვიმე.

შიო-მღვიმის მონასტრის ჰქონდა მდიდრული სამკაულები, მაგრამ საქართველოს ისტორიულ უბედურ დროთა გამო ეს სიმდიდრე ისე გაიბნა, რომ არასფერი აღარ დარჩენილა მათგან.

1743 წელში ეს მონასტერი სულ უბატრონოდ დარჩენილა, ამიტომ ყველა ის ოქროს ხატები, რომელნიც კი ამ მონასტერში ყოფილა ამ დროს, წაულიათ თავად ამილახვრებს და საქართველოს სხვა-დასხვა ეკლესიებში დაუსვენებიათ. ყველა ეს ხატები გაკეთებულნი არიან მეთორმეტე საუკუნეში.

ამ მონასტერში ყოფილა აგრეთვე ბევრი წიგნები, ეტრატზე ნაწერნი, მაგრამ ყველა ესეები, სამწუხაროდ, დაუწვავს მტერთა. ზოგიერთი

ხელთნაწერები და წიგნები, რომელნიც კი მტრის ხელს გადაჩენია, შეუკრებია 1755 წელში ქათოლიკოს ღამენტი მესამეს. ყველა ეს ხელთ-ნაწერები და წიგნები საღვთის-მეტყველო შინაარსისაინ არიან. ყველა იმ ზედწარწერათაგან, რომელნიც ზემოდ აღნიშნულ ხელ-ნაწერებზე და წიგნებზეა, შესანიშნავია ორი; ერთი ზედწარწერა არის „აპოკალიპსის“ განმარტებაზე 966 წლისა და 1270 წლის სახარებაზე; როგორც ამ ზედწარწერათაგან სჩანს, პირველი დაწერილია საბერძნეთში, წმ. ულუმბიის მთაზე, კრალიას მონასტერში, ბასილი და კონსტანტინეს მეფობის დროს. მეორე ზედწარწერისაგან სჩანს, რომ სახარება 1270 წ. დაუწერია ვილადეა მღვდელს—გიორგის წინამძღვარდ წოდებულს ზოსიმე და ვასლის დროს.

მონასტრის ოქმებში განსაკუთრებით შესანიშნავია პირველად მეფის დავით აღმაშენებლის ანდერძი, რომელზედაც არ არის აღნიშნული წელიწადი; ამ ანდერძში მოხსენებულია, რომ მიძინების ტაძარი აღაშენა მან მეთორმეტე საუკუნეში და მეორე ოქმი თამარ-დედოფლისა, რომელიც დამტკიცებულია მისი შვილის-შვილის დავით მეფეთისაგან; ოქმი დაწერილია ჰყონდიდელი ეპისკოპოსის ანტონისაგან, რომელიც თავის-თავს „მწიგნობარს“ უწოდებდა. ნამდვილია, რომ ეს ოქმი ძველ დროს ეკუთვნის. ანტონი მართლა სცხოვრებდა დედოფლის თამარის დროს და საქართველოს ყველა მიტროპოლიტებ შორის იწოდებოდა პირველად.

ეს შიო-მღვიმის მონასტერი, რომელიც ოდესმე ასე შესანიშნავი ყოფილა საქართველოში თავის სიმდიდრით და ბერ-მონაზონთა რიცხვით, დროთა-ვითარებისა გამო ისე დაეცა ამ უკანასკნელ დროს, რომ იგი მიწერილ იქმნა თბილისის ფერისცვალების დარის მონასტერზე. მაგრამ შემდეგში მას ბედმა ისევ გაუღიმა და იგი შეიქმნა დამოუკიდებელ მონასტრად. ვისი მეცადინეობით მოხდა ეს და ვისი გამჭირაობით არის დღეს მონასტერი შესამჩნევად გამშვენებული და ვისით მოვლის სასიამოვნო ბოლო, შემდეგში მოვასხენებთ მკითხველებს.

(შემდეგი იქნება)





## ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* საერო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტა შემოიღოს საქალბო გიმნაზიაში ფრანგული ენის პრაქტიკული ვაკეეთილება, რომელიც ნასადილევს იქნება ხოლმე.

\* \* გენ.-ადიუტანტი ვანოვსკი, რომელიც შარშან დინიშნა საერო განათლების მინისტრად, მასხაურიდან გამოვიდა; მასთან ერთად გამოვიდა მისი ამხანაგიც მეშჩანინოვი, რომელიც აგრეთვე შარშან იყო დანიშნული ამ თანამდებობაზე. როგორც მკითხველებმა იციან, გენ.-ადიუტანტს ვანოვსკისა და მის ამხანაგს მძიმე მოვლეობა ჰქონდათ ნაკისრი: ხელმძღვანელობა სწავლა-განათლების საქმის რეფორმისა, რომელიც მთავრობამ განიზრახა და რომლის აღსრულებას კიდევ შეუდგნენ. ამ ჟამად ხსენებულ საქმის ხელმძღვანელთა თავი დაინებეს მასხაურს და განზრახულ რეფორმის საქმის სათავეში სხვა მოღვაწე ჩადგა—საერო განათლების მინისტრის მეორე ამხანაგი და ს. ს. ზენგერი.

ზენგერი ყოფილი პროფესორია, ხოლო სამინისტროში გადაყვანილ იქნა ვარშაიდან, სადაც სამოსწავლო ოლქის მზრუნველად იყო.

\* \* გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული 1 აბრილს მართლ-მადიდებელთა სამრევლო სკოლების წესდება.

ახალს წესდების ძალით, სამრევლო სკოლები ორ-გვარი იქნება: დასაწყისი სკოლები და საოსტატო. დასაწყის სკოლებად ითვლება წერა-კითხვის სკოლები და სამრევლო სკოლები—ერთკლასიანი, ორ კლასიანი და საკვირაო (ქმაწვილთა და მოზრდილთათვის), ხოლო საოსტატო სკოლებად ითვლება: ზემოხსენებულნი მეორე ხარისხისანი და სამრევლო-საოსტატოსანი. წესდებაში განსაზღვრით არის ნაჩვენები სწავლების კურსი ყველა ამ სკოლებში და მასწავლებლების განათლების ცენზი. წერა-კითხვის სკოლებში ასწავლიან საღმრთო სჯულის დასაწყისს, წერა-კითხვას, არითმეტიკის ოთხს მოქმედებას და საეკლესიო გალობას უნოტებოდ; სამრევლო-საოსტატო სკოლეში—მათემატიკას, საეკლესიო და განათლების ცენზი, რომელიც მოეთხოვება წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელს, მეორეა, მაგრამ სხვა სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის თანდათან ემატება, სკოლის ხარისხის მიხედვით.

მასწავლებელთა ჯამაგირი დაწესებულია მათის შრომისა და სოფლის ყოფა-ცხოვრების შესაფერის: უფროს მასწავლებელს სამრევლო სკოლისას დაენიშნა 540 მან. წელიწადში, მეორე ხარისხის სკოლის მასწავლებელს 480 მანეთი. გალობის სწავლებისთვის 200 მ., გალობისა და მუსიკის მასწავლებელს სამრევლო-საოსტატო სკოლაში 600 მან., საზოგადო განათლების საგნების მასწავლებელს იმავე სკოლაში—900 მან., მეორე ხარისხის სკოლის გამგეს—360 მანეთი, ხოლო სამრევლო-საოსტატო სკოლის გამგეს—1,500 მან. ეს უკანასკნელი ჯამაგირი იმდებრივია, რაც სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორისა. ჯამაგირს შესაფერად მასწავლებლებს დაენიშნებათ პენსიაც.

მასწავლებელნი და მზრუნველნი ყველა სამრევლო სკოლებისა და აგრეთვე მოსწავლენი სამრევლო-საოსტატო სკოლებისა, სწავლის დროს და სწავლის დასრულების შემდეგაც, განთავისუფლებულნი არიან გალობისაგან. სამრევლო-საოსტატო სკოლაში კურს-დასრულებულს დასაწყის სკოლებში სწავლებისათვის. თორმეტის წლის განმავლობაში, ემატება პირადის პატივდებულის მოქალაქის ხარისხი. ორ-კლასიანი სამრევლო სკოლები და სამრევლო-საოსტატო სკოლები სამხედრო ბეგრის გადახდის შესახებ ჩაირიცხება მეორე ხარისხის სასწავლებლად, ხოლო ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლები მესამე ხარისხისად. ორ-კლასიანის სამრევლო სკოლის სწავლა დამთავრებულს შევირდის მიეცემა მესამე ხარისხის შეღავათი სამხედრო ბეგრის გადახდაში; ხოლო საოსტატო სკოლისას, —იგივე უფლება, რაც სკოლაში შესვლამდე ჰქონდა. წილის ყრის შემდეგ მებრძობაში ჩაირიცხება გადაიდება სამრევლო საოსტატო სკოლის მოსწავლეთათვის კურსის შესასრულებლად, თუ მოსწავლემ ისურვა, ოც და ორის წლოვანობის მიღწევამდე.

ახალს წესდებით განსაზღვრულია უწყებანი უშმინდესის სინოდისა და საერო განათლების სამინისტროსი დასაწყისს სახალხო განათლების საქმის ორგანიზაციისა და გამგეობის შესახებ, და მტკიცედ მიჩნეულია ავტობია და მოვლეობა დასაწყის სკოლების გამგეთა ორისავე უწყებისა და მათი ურთიერთობა. პირობანი და რიგი სახალხო დასაწყის სკოლების დაარსებისა, ორისავე უწყებისა, იმ ადგილებში, სადაც უკვე არიან ასეთი სკოლები განისაზღვრება იმ წესით, რომელიც დადგენილ იქნება უწყმინდესის სინოდის ობერ-პროკურორისა და საერო განათლების მინისტრის შეთანხმებით.





# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზღვრებსა და კვირეულ-ხნეიზაზე.

მ ო ძ ლ მ რ ა მ ბ ა

დიდ-მარხვის მესამე კვირააკის.

ჯვარსა შენსა თაყვანის ვცემთ, მუჟფო.

დიდი ნუგეშით, სულიერი მხნეობით, ნათელი და მაცოცხლებელი გრძნობებით ევსება გული ყოველთვის შეგნებულ და წარფელ ქრისტიანს ჯვარის ხსენებაზედ. მაღალი და საღმრთო აზრებით იმჟვალემა მუღამ მსასოებელი კაცის გონება ცხოველ-მყოფელი ჯვარის მოგონებაზედ. ესმის ეს წმიდა ეკკლესიას, შეგნებული აქვს მას ესოდენ უცილობელი გავლენა ჯვარის ხსენებისა კაცის სულზედ და ამიტომ ბრძნულად სარგებლობს ამ ძვირფასი გარემოებით ყოველ საქირო შემთხვევებში.

აგერ დღესაც რა საღმრთო კრძალულებით, როგორი სასოებით, რა იშვიათი რიგით და გონება მიმზიდველი დღესასწაულობით ასვენებს იგი პატიოსან ჯვარს შუა-გულ მლოცველებს! აგერ გა გულს მოდგენით, ბეჯითი სურვილით, სიმტკიცით და მხოვალე შთაგონებით მოგვიწოდს ყველას საღმრთო ჯვარის სათაყვანოდ! მარხვითა განწყმედითა მოვისწრაფოთ, ერნო, და შევიტკობთ ძელი ცხოველსმყოფელი (კვირიაკესა გ. შვიდეულისასა ცისკრად), ლალადებს ეკკლესია და ხმა ესე გულს გეინათებს, გვაძნევენებს და გვაგვებს ღმობიერებით, რადგანაც შუებერ ცხადდ და ნათლად წარმოგვიდგება ზეციური მამის უზომო კაცთ-მოყვარება, რომელმან ესრეთ შეიყვარა სოფელი ესე, ვითარმედ ძეკა თვისი მხოლოდ შობილი მიჰსცა მას, რათა ყოველსა, რომელსა ჰრწმუნეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქნდეს ცხოვრება საუკუნო (იოან. 3. 16). ჯვარსა შენსა პატიოსანსა, ქრის-

ტე მაცხოვარ, წინამდებარესა ვხედავთ და თაყვანისცემთ (კვირიაკესა გ. შვიდეულისასა ცისკრად), განაგრძობს ეკკლესია და ხმა ესე გვეჩვენება სულიერი სიხარულისა და მუღამის ნუგეშის დაუშრეტელ ლამაზად, ვინაიღვან ამასთან ერთად გვაგონდება, რომ ჯვარცმულმა ქრისტემ მოგვანიჰა ჩვენ, ბუნებით შვილთა რისხვისათა (ეფეს. 2, 3), ხელმწიფება შვილ ღმერთისა ყოფად (იოან. 1 12) და ჯვარზედ დათხული სისხლი მისი განმწმედს ყოველისაგან ცოდვისა (ა იოან. 1, 7). ჯვარსა შენსა თაყვანისცემთ, მეუფეო, ჰგალობს სიხარულით გაბრწყინებული ეკკლესია და მხიარულება ესე მაცოცხლებელ ნაკადულად გვიღლის მთელ არსებაში, რადგანაც ამასთან ერთად წარმოვიდგენთ რომ, ჯვარსა ზედა სიკვდილი ინება მაცხოვარმა, რათა სიკვდილითა მით განაქარვოს, რომელსა იგი ხელმწიფება აქნდა სიკვდილისა, ე. ი. არს, ეშმაკი (ებრ. 2, 14)... ჯვარი ქრისტის დასთრგუნავს ეშმაკსა, ჯვარმა ქრისტესმა შეგვარივა უფალთან და მოგვანიჰა უფლება შვილ ღვთისა ყოფად, ჯვარზედ დათხული მაცოცხლის სისხლით გვენატიება ყოველი დანაშაული და ცოდვა, მაშ რაღას სულმოკლეობ, ძვირფასო მსმენელო, მოხუცო და ქაბუცო, ქალო და ვაჟო?! რაღათა გძღვეს და გარყვეს ცოდვათა სიმრავლის შიში, რად არ აღივსები სულიერი მხნეობით და, აღჭურვილი უძღვევლი საძღვევლით, ჯვართა პატიოსნითა, არ შეებრძვი ყოველ გვარ გაქირვებასა, განსაცდელსა და ცოდვასა უეჭველი გამარჯვების იმედით?! აჰა, მარჯვენთ ქრისტეს ჯვარისა კეთილ გონიერი ავაჰაი; რად არ გწაშს გულით, რომ თუ კი შენც მსგავსად მისა შეაგვარებ შენს თავს ჩვენთვის ჯვარცმულს, აუცილობლად ეღირსები საწადელ აღთქმას: ამინ გეტყვი შენ, დღესა ჩემთანა იყო სამოთხესა (ლუკ. 23, 43)?!

დიდ, ხილვა ჯვარისა და მისთან ერთად არა აღვსება სასოებით, არა აღვსება ღვთისადმი უსახლერო სიყვარულით, უარის ყოფა თვით ჯვარცმულისა. ხილვა ჯვარისა და ამავე დროს არა გამძნეება სულიერად, არა აღფრთოვანება გულით; დატავება გონებაში ცოდვათა უძღვევლობის ფიქრისა,—მეორედ ჯვარცმა ქრისტესი.

გარან ხილვა ჯვარისა უნდა გვაძნევენდეს,





სულიერად გვატკიცებდეს და გვაძაგრებდეს, გვახალისებდეს კეთილ სამოღვაწოდ, გვიბადავდეს სურვილს მუდამივი ზნეობრივი წინსვლელობისას და იმედს ბოროტების დამოხიზნისას კერძოდ ჩვენ, — ქართველებს, — რადგანაც სხვათა ქრისტიანეთა შორის განსაკუთრებით ჩვენ ვიწოდებით ჯვარის მტვირთველ ერად და ჯვარსაც არსად არ ჰქონია დათმობილი ისე დიდი ალაგა, როგორც ჩვენი ერის ცხოვრებაში. ჯვარით შემოვიდა ჩვენ ქვეყანაში გვიანათლებელი ჩვენი ღირსი დედა ნინო და ყველაზედ უბირველესად გვასწავლა ჯვარის თაყვანისცემა: ჯვარზედ ჰქონდათ დამყარებული მთელი იმედი ჩვენ მამა-პაპას, ჯვარის წინძლოლით მიდიოდნენ მტრებთან საბრძოლად, ჯვარი იყო ყოველი სახელოვანი ოჯახის უძვირფასესი სამკაული, ჯვარი შეადგენდა ჩვენი ქვეყნის შემეაერთებელ ძალას და ერთად ერთ შეუვალ სიმაგრეს. მიმოვლეთ ეს ჩვენი პატარა კუთხე; მოილოცეთ ძველი, მთიების მსგავსი ტაძრები და თქვენთვის ცხადი შეიქნება ჩემ მიერ ნათქვამი. აქ, — ძველ ტაძრებში, — თქვენ დასტკებებით უშველემბელი ზომის ჯვრების ხილვით, რომლებიც საუცხოვო ხელოვნებით არიან შექმნილი ოქრო-ვერცხლით, ძვირფასი თვლებით, წმინდანების ნაწილებით და სხვა. დღესაც, ჩვენდა საბედნიეროდ, მრავალგან მტკიცედ სასოებენ ამ ჯვრებზედ, მრავალგან არასფერს არ ზოგვენ მათი დაცვისა და შენახვისათვის. დღესაც, ჩვენდა სასიქადულოდ, ერის უმეტესობა ყოველი გაქირავებისა, უბედურობისა, საერთო და კერძო განსაცდელის დროს ისევ ჯვარს აპყრობს სასოებით აღესილ თვალს, ისევ ჯვარსა სთვლის თავის იმედად, ისევ ჯვარის თაყვანისცემით იტკობს სიცოცხლეს, იქარვებს შეწუხებას, მალღდება ზნეობით და ყველა საგალობელზედ მომეტებულად ამშვიდებს მის სულს გალობა — „ჯვარსა შენსა თაყვანისცემით, მეუფეო!“


დავტკებთ ჩვენც, მსმენენო, პატიოსანი ჯვარის ხილვით, დავეარდეთ მის წინაშე სითამბდამლით, ამბოჯის უყოთ მას ღმობიერებით, შევიწროთ წრფელი გალობა და გვრწამდეს, რომ ჯვარზედ ვინმე მაცხოვარი ჩვენი არ მოგვაკლებს თავის მადლს და არასოდეს არ გავვიმეტებს წარსაწყემდად. ამინ.

ს ი ბ შ ვ ა,  
გ უ ლ ი ს წ ე რ ო მ ა ზ ე კ.

გული გიწერებოდენ და ნუ სცოდავთ; მზე ნუ დაჰვანდ ვანრისხებას თქვენსა. (ფე. 4, 26).

როდესაც ვინმე ღვთის მცნებას არღვევს, კანონის წინააღმდეგ იქცევა, უწესოებას ჩადის, თავის მოვალეობას არ ასრულებს, თუ სიტყვით, თუ საქმით, როგორც თავის თავს, ისე მოძმეს სარგებლობის მაგიერ ენებას ძღვევს, მაყურებელი და ნამეტურ ზედამხედველი, უფროსი, რომლის მოვალეობაა დაიცვას კანონი, წესრიგი და ჩაგონოს ყველა ხელქვეითთ კეთილ სინდისიერად, პირნათლად აღასრულონ თავიანთი მოვალეობა როგორც ღვთისა, ისე საზოგადოების წინაშე, გულ-გრილად ვერ შეხედავს ცულ-მაინე ყოფაქცევას და თავის უკმაყოფილებას ხშირად გაავაგრებით აცხადებს. „საჯული რისხვასა შეიქმს“, ამბობს ჰაელე მოციქული (რომ. 4, 15). ამნაირი რისხვა, ვაწყობამ კანონიერად უნდა ჩაითვალოს, რადგან კაცის გასწორება, ქეშმარიტ გზაზე დაყენება აქვს სახეში. ამ შემთხვევაში ჩვენ რომ გულგრილად მოვიტკეთ, ჩვენი უკმაყოფილება არ გამოვაცხადოთ, სარგებლობის მაგიერ ენებას მოუტანთ, როგორც საზოგადოებას, ისე თვით მავნე წვერს საზოგადოებისას, რადგან ის წაქეზდება და თვის ქცევით, მავალითით სხვებსაც ბევრს გარყვნის. საღმრთო წერილის წიგნების კითხვის დროს არა ერთხელ გსმენიათ: „ღმერთო განარისხდა ამა და ამ კაცზე, ხალხზეო“, როგორ ფიქრობთ, ძმანო ჩემო საყვარენო, ეს განრისხება როგორია, რა აქვს მიზნად? ეგებ ვისმეს თქვენგანს ჰგონია, რადგან ღმერთი გვაძლევს მცნებას და ჩვენ არ ვასრულებთ, ე. ი. წინააღმდეგი ვუხდებით, ის ჩვენ გვიწყება, ჩემი ბრძანება რისთვის არ აისრულებოთ, რად მომაყენეთ შეურაცხყოფაო, თუ არ გინდათ გამიგონოთ მე თქვენ სამაგიეროდ განგარისხდებით და მით გულისს ჯვარს ამოვიყრი და ჩემ თავს დავაკმაყოფილებო? არა, სრულებითაც არა. ჩვენ როგორც უნდა მოვიტკეთ, მხოლოდ ისევ ჩვენ თავს ვასარგებლებთ ან ვაზარალებთ და არა დღესაც ჩვენ ვკითხულობთ: „ღმერთი განარისხდა“ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ზეციური მამა უკმაყოფილო შეიქმა ჩვენი ურიგო, ცული ყოფაქცევით

გულისწი ლექსი.







და ჰსურს ჩვენი მოქცევა, ჩვენი გულის-ხმაში ჩადება; ღმერთს თავის თავი კი არ აქვს სახეში, არამედ ჩვენ ვყევართ: „ნუ მე განმარისხებთ თქვა, უფალმან, არა, თავთა თვისთა (ეს. 7, 19). თუ ამნაირი აზრი უტრიალებს თავში ყოველ ჩვენგანს, თუ მის მოყვის გასწორება აქვს სახეში, თუ კანონის დაცვა, წესიერების დამყარება უდევს გულში, როდესაც უჯავრდება ვისმეს, კარგი და პატიოსანი, ღვთისათვისაც სასიამოვნოა და კაცისათვისაც სასარგებლო. მაგრამ იცოდეთ ყოველთვის, რომ ამნაირ საუბრეშიან გაჯავრებას საზღვარი უნდა ექნეს. ზომიერებას, როგორც სხვა დროს, ისე ახლაც დიდი მნიშვნელობა აქვს. უზომოდ გულის-წყრომას ენების მოტანის მეტი არა შეუძლია რა არავისათვის. ამ შემთხვევაში ნაცვლად სიყვარულისა მოყვისსადმი თავმოყვარეობა იჩენს თავს; სხვის გასწორება კი აღარ აქვს სახეში, არამედ თავის თავის დამკაყოფილება. მერმე როგორ და რით? ბევრს თქვიდან თავის თავზე თუ არ გამოუტყდიათ, დაუნახათ მაინც სხვა, მოთმინებიდან გამოსული, გაბრაზებული კაცი. მთელი მისი ხეული ცხატაობის, თვალებიდან ცეცხლს ყრის, პირიდან დობრღები გადმოდის, კბილებს აკრაქუნებს, თავბრუ ეხვევა, გონება ეკარგება, აღარ იცის სად იმყოფება, რა ჰქნას, ყოველივე ზრდილობა ეკარგება, ნამდვილ გაყოფიანებულ მხეცს ემსგავსება, ხელებს და ფეხებს სცემს რაიმეზე ისე, ვითომც მისნი არც კი იყვნენ, ტკივილსაც ვეღარა გრძნობს, რაც კი მოხდება ხელში და მოერევა ლუქმა-ლუქმად აქცევს; კიდევ კარგი თუ არავინ შემოაკვდა ხელში, თორემ სწორად ეს უბედურობაც ხდება ხოლმე. რასაკვირველია ამნაირი განრისხება, გულისწყრომა ხეირს არ დაყრის კაცს, დღეს უმოკლებს თვითონ მას და ვიზღაც წყრება სიცოცხლეს უშუამავს და ხანდისხან წუთისოფელსაც ასაღმებს. ამისათვის გვარიგებს პაველ მოციქული: „გული გიწყრებოდნენ, ნუ სცოდნათ“. ჩვენდა საუბედუროდ ბევრი სწავლულნი პირნიც ვარდებიან ამნაირ უკიდურეს, სამარცხეინო და დამღუბველ მდგომარეობაში და ყოველივე დიოსებას ჰკარგავენ როგორც ღვთისა, ისე კაცის წინაშე. გონიერი გულ-კეთილი კაცი როგორც დაცხრება, მაშინვე იგრძნობს თავის დანაშაულობას, მას სვინიდისი დაუწყებს მხილებას, ძლიერ შერტხება როგორც მისგან შეურაცხყოფილისა, ისე

სხვისა, ვინც მას მოწმედ შეესწრო, და მანამდის ივერ მოისვენებს, სანამ ბოდიშს არ მოიხდის იმ პირთან, ვისზედაც გაჯავრდა და ამით ასრულებს პაველ მოციქულის დარიგებას: «მზე ნუ დავალს განრისხებასა თქვენსა». და თუ გულ-ამაყი, ამპარტავანი კაცია, თუნდაც განათლებული იყოს და გრძნობდეს თავის დანაშაულობას, ცრუ თავმოყვარეობა ნებას არ აძლევს ვისმეს წინ ბოდიში მოითხოვოს და საჯაროდ თავისი თავი გაიმტყუნოს. ის არავის არ მოუხრის ქედს, შეიძლება გულში ნანობდეს, მაგრამ სიტყვით თავის ღღეში არ გამოთქვამს და ამნაირ პირთა, თუმცა ნიჭიერთა და განთვარებულითა შესახებ სთქვა სოლომონ ბრძენმა: „რისხვისაგან წარწყმდების ბრძენიცა“ (იგ. 15, 1). რაც შეეხება უგუნურს, გაუნათლებელს, რეგვენ აღამიანს, მას რომ საქებურად მიაჩნია ყოველ ღღეწყრომა, ის ისე მიეჩვენა ამ სენს, რომ მოთხოვნილებად გარდაექცევა და რა დღესაც არ გაჯავრდება, ის ღღე ღღედ არ მიაჩნია. უგუნურს წყრომით, ჯავრობით უნდა გამოიჩინოს სიბრძნე, მას არ შეუძლია სხეებზე გაელენა იქონიოს, თუ არ გაჯავრებით. ამისათვის ამბობს იგივე სოლომონ ბრძენი: „გულისწყრომა წიაღთა შინა უგუნურისასა განისვენებს“ (ეკ. 7, 9). ამნაირ კაცისაგან სამართალს თავის ღღეში ნუ მოვლი: „გულისწყრომამან კაცი-სამან სიმართლე ღმრთისა არა ჰქნას“, ამბობს იაკობ მოციქული (1, 20) და რასაკვირველია, მასთან სამსახური და ნამეტურ ცხოვრება აუტანელია. „მძიმე არს ქვა და არა ჯეროვან სატვირთავი ქვიშა, ამბობს სოლომონ ბრძენი, ხოლო რისხვა უგუნურისა უმძიმეს ორსავე, გულისწყრომა მისი უმოწყალოა (იგ. 27, 3, 4). როგორ უნდა მოიქცეს ამნაირ პირთან კაცი, როგორ უშველოს თავის თავს, რა შეიძლება მისთვის ასეთი მძიმე ტვირთის ზიდვას? ნათქვამია: „არს ღუმილი, რაწეთუ არა აქვს მოგება და არს ღუმილი მხედველი ჟამისა (ზირ. 20, 4). სწორედ ასე უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში კაცი, ამ დროს მართებს კაცს „დასდოს საცო პირსა თვისსა და კარი ძნელი ბავთთა თვისთა“. როდესაც ხელდავ ვინმე გაჯავრებულია შენზე, მოერიდე მას, ეცადე მაგიერი სიტუცია არ შეუბრუნო, როგორც გვარიგებს ესაია წინასწარმეტყველი: „შევედ საუნჯეთა შენთა დახშენ კარნი შენნი, ვიდრემდის წარხდეს რისხვა“ (26, 26); იცოდე დრო



გავა და გაჯავრებას ძალა დეკარგება, და თუ მიინცა და მიინც მიუგო პასუხი, უსათუოდ მშვიდად, წყნარად, აუღელვებლად, „რამეთუ სიტყვის გება მდაბალი მოაქტევს გულისწყარობასა და სიტყვიან ფიცხელმან აღმართოს რისხვა“ (იგ. 15, 1). ვინცა წყრება, იცოდ, ის თავის თავს უფრო ავნებს, ვინემ ვისაც უწყრება. როგორც გახელმებული ფუტკარი კბენით თავის თავს უფრო ავნებს, ისე გამარაზებული კაციც. ფუტკარი როცა ძლიერ გახელდება ისე ღრმად ჩაურქობს, ვისაც კბენს, ნესტარს, რომ ვეღარ ამოიღებს, რაც შხამი აქვს შიგ ჩასახმს და კიდევაც კვდება, მისგან ნაკბენი კი მოურჩება კაცს. აგრეთვე, ბრაზიანი კაცი თავის თავს უფრო უმოკლებს დღეს, ვინემ სხვას. ესეც იქონიე სახეში, «მოთმინებითა შენითა მოიპოვებ სულსა შენსა», ის კი წარწყმდება. „რომელი განრისხნდეს ძმას თავისსა ცუდად თანამდებ არს სასჯელისა და რომელმან რქვას ძმასა თავისსა: რავა, თანამდებ არს იგი კრებულისაგან განსვლად და რომელმან რქვას ძმასა თავისსა ცოფ, თანამდებ არს იგი გვენიასა მას ცეცხლისასა“, თქვა მაცხოვარმან (მათ. 5, 22). ამ დასჯას როგორც იქნება ასცდება გონიერი კაცი, რომელსაც, როგორცა ვსთქვიათ ზემოდ, გულში შიში ღვთისა აქვს და სვინილისს მხილება ძალას ატანს შეინანიოს თავისი დანაშაულობა, მაგრამ უგუნურს, გულამაყ კაცს უსათუოდ მოელის ასეთი შედეგი. „სიფიცხლითა ბაგითა შენითა და შეუნანებელითა გულითა შენითა იუნჯებ თავისა შენისა რისხვისა დღესა მას რისხვისასა და გამოჩინებასა და მართლმსაჯულებისა ღმრთისასა, რომელმან მიავგოს კაცადსა საქმეთა მისთაებრ“. ამბობს პავლე მოციქული (რომ. 2, 5). შეიძლება ძარღვები ჰქონდეს აშლილი ან რაიმე სხვა სნეულება სხეულისა და ცოტა ყყოფა კაცს, რომ მოთმინებიდან გამოვიდეს, მაგრამ ეს ვერ გაამართლებს მას; ჩემი ფაქრით, ამნაირ აღმიაწეს უფრო ჰმართებს ახსოვდეს თავისი სნეულება და მუდმივ მზად იყოს თავი შეიკავოს და ნება არ მისცეს საზღვარს გარეთ გამო-

ვიდეს და მის ქცევას ღმერთი უფრო დააფასებს, ვინემ ბუნებით აუღელვებელი კაცის სიმშვიდეს, რადგან პირველს მეტი ჯაფა მოსდის თავისი თავის დასაცხრობლად, ვინემ მეორეს.

მღვ. მარკოზ ტყემალაძე.

## გ ა ნ ს ხ ა ლ ე გ ა .

Вышли изъ печати и продаются слѣд. учебныя пособія, составл. нач. учит. Д. Е. Рзынкими:

1. „Учение-свѣтъ“. Букварь. ц. въ переп. 15 коп.

2. „Начальныя приемы обученія чтенію и письму“. ц. 20 к.

3. „Прониси-образцы“. Изд. 2-е, испр. ц. 12 к. Авторъ, для ознакомленія, всѣ три книги высылаетъ съ налож. плат. за 60 коп.

При требованіи не менѣе 25 экз. уступ. на букварь 15%, а на прочіи отъ 25 до 35%. Пересылка за мой счетъ.

Адресъ: Бакы—Балаханы, учит. Д. Рзынкину.

შეცდამის გასწორება. პირველ რვა გვერდზე დაბეჭდილია: № 7—8, უნდა იყოს № 7.

## შ ი ბ ა ა რ ს ი :

**სალიტერატურო განმარტებება:** აღდგომისა დღე არს... —ოსანა ძესა დავითისასა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა. დღე. დ. ლამაზიძე — აღდგომა და წითელი კვერცი, —რა მონაწილეობა შეუძლია მიიღოს სამღვდლოებამ ხალხში გვიგუნური ცოდნის გავრცელებისათვის. მღ. ს. ჭუმბურიძე. —ემწყემსის კორრესპონდენცია კორნელი ჯუღელი. —ყ-დ საზღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის ლენინისაგან დღესასწაულობითი წირვა შიო-მკვიპის მონასტერში 21 წარსულ თებერვალს. ყველიერის ხოთშაბათს. —ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მცენიარება ძრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კათოლიკეობაზე:** მოძღვრება დიდ-მარხვის შესამე კვირიაკესა. თქმული ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკ. ლენინის მიერ. —სიტყვა გულისწყარობაზე. თქმული მღვდლის მარკოზ ტყემალაძის მიერ. —განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამაზიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 22 апрѣля 1902 г. ♦ Цензоръ прот. Е. Елизеи

Типог. редакція журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.